



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ASSEMBLY MUNICIPALITY OF GARDABANI



განკარგულება:გ-19. 19251507

თარიღი:30/05/2025

განკარგულება №53

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ლუკა ლუჭაშვილისა და მწვრთნელის შოთა ფერაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 6 მაისის №129 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - ლუკა ლუჭაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 800 (რვაასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - შოთა ფერაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 400 (ოთხასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნადლო ანგარიშსწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:
ლუკა ლუჭაშვილი - 800 (რვაასი) ლარი, პ/ნ 12901106381, GE21BG000000545833982;
შოთა ფერაშვილი - 400 (ოთხასი) ლარი, პ/ნ 12001014639, GE98LB0711113715469001.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ.№6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

